საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერისთავი (ერისთვისშვილი) ელიზბარ გიორგის ძე

ერისთავი (ერისთვისშვილი) ელიზბარ გიორგის ძე (1738–1813), პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე. იყო ერეკლე II-ის პოლიტიკის წინააღმდეგი, რისთვისაც ქართლიდან გააძევეს. ბესიკთან ერთად დიდი გავლენით სარგებლობდა იმერეთის სამეფო კარზე. სოლომონ II-ის დროს იძულებული გახდა იმერეთი დაეტოვებინა. ე. ბესიკის სკოლის წარმომადგენელია. მის ლექსებში გამოხატულია სოც. და *პოლიტ.* პრივილეგიების დაკარგვით გამოწვეული სევდა. მისი პოეტური მემკვიდრეობა დაცულია ხელნაწერების სახით.

ლიტ.: რ უ ხ ა ძ ე ტ., ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954.

გ. მიქაძე